ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ამხანაგობა „ფანასკერტელი-2005+"

საფუძველი: 24.12.2013წ. №12/13358749-16 განცხადება

მისამართი: ქ.თბილისი, ბახტრიონისა და ფანასკერტელი ქუჩების მიმდებარე ფერდობზე

საკ.კოდი: №01.10.16.004.020

პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება: 22.11.2012წ. №444478 AR190408

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი- IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (10.01.2014წ.) დადგინდა:

„6-1" ფასადი: „4-3" მონაკვეთში კიბის უჯრედში კედლის ნაწილის გაუქმების ხარჯზე გაზრდილია გისოსებით შევსებული ღიობები სიმაღლეში. ფასადზე მოწყობილია სავენტილაციო მილები. „2-1" მონაკვეთში და „1-1" ღერძის გარეთ -6.00 ნიშნულზე ფრამუგების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები. -3.00 ნიშნულზე შეცვლილია ვიტრაჟების კონფიგურაცია, გაბარიტები და ნახატი. -3.00 ნიშნულზე არ არის დასრულებული აივნის მოწყობა. ±0.00 ნიშნულზე, აივნის „1-0" მონაკვეთში არ არის მოწყობილი აივნის ფილა, ასევე „4-3" მონაკვეთში ორი აივანი გაერთიანებულია, რითაც გაზრდილია აივნის ფართი 4.5 მ^2-ით. -9.00 ნიშნულზე შენობის მთელ სიგრძეზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. -6.00 ნიშნულზე, „6-5" მონაკვეთში ღიობი შეუვსებელია. „3-2" მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. +34.20 ნიშნულზე „6-5" და „2-1" მონაკვეთებში აივნების თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობლები. +37.50 ნიშნულზე „2-1" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია აივანზე გამავალი კარი, „5-4" მონაკვეთში გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტები, „ხოლო „4-3" მონაკვეთში ღიობი შეუვსებელია.

„დ-ა" ფასადი: -9.00, -6.00 და -3.00 ნიშნულებზე შეცვლილია ფანჯრის ღიობების რაოდენობა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. +38.15 ნიშნულზე „დ-გ" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ფრამუგა. +37.50 ნიშნულზე „დ-გ" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის კონფიგურაცია და გაბარიტები. +30.90 ნიშნულზე, „დ-გ" მონაკვეთში აივნის თავზე არ არის მოწყობილი გადახურვა. +34.20 ნიშნულზე „გ-ბ" მონაკვეთში აივანი ამოშენებულია და მოწყობილია ფანჯარა, რითაც საზაფხულო ფართის ხარჯზე გაზრდილია საცხოვრებელი 3.5 მ^2-ით. +30.90 ნიშნულზე „ბ-ა" მონაკვეთში აივნის თავზე შეცვლილია საჩრდილობლის ფორმა. +38.15 ნიშნულზე „გ-ბ"

მონაკვეთში ფანჯარას მონაცვლებული აქვს ადგილი. ±0.00 ნიშნულზე, არ არის მოწყობილი ლითონის მაოჯირი. ±0.00 ნიშნულის ქვევით ფასადზე არ არის შესრულებული კერამიკული ფილებით მოპირკეთება. +4.50 ნიშნულზე „დ-გ“ მონაკვეთში აივნის მოაჯირზე დამატებით მოწყობილია სატელიტური თეფში. +34.20 ნიშნულზე „ა-ა“ ღერძთან აივნის თავზე შეცვლილია საჩრდილობლის ფორმა.

„ა-დ“ ფასადი: -3.00 ნიშნულზე, „ა-გ“ მონაკვეთში ვიტრაჟების ნაცვლად მოწყობილია ექვსი ფანჯარა და კარი. -3.00 ნიშნულზე, „გ-დ“ მონაკვეთში ვიტრაჟში გაუქმებულია კარი. +14.40 ნიშნულზე, „ბ-გ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი აივნებს შორის შევსება და ფანჯარა. +34.20 ნიშნულზე ფასადზე არ არის ნაჩვენები რიგელის ნაშვერები. -3.00 ნიშნულზე, „ა-ბ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ±0.00 ნიშნულზე ამავალი კიბე, ხოლო ±0.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. „ა-ბ“ მონაკვეთში ფასადზე დამატებით მოწყობილია ამწე მექანიზმისთვის განკუთვნილი ღიობები. „ა-ბ“ მონაკვეთში არ არის მოხსნილი ამწე, ხოლო ფასადი შესალესია. ±0.00 ნიშნულზე, „გ-დ“ მონაკვეთში არ არის მოხსნილი ლითონის მოაჯირი. -3.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი აივანი. -6.00 ნიშნულზე „ბ-დ“ მონაკვეთში ღიობები შესავსებია. +34.20 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი კედელი და ფანჯარა, ასევე არ არის მოწყობილი ტერასაზე ამავალი კიბე. +37.50 ნიშნულზე „გ-დ“ მონაკვეთში ფანჯრის ნაცვლად მოწყობილია კარ-ფანჯრის ღიობი. +37.50 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი ტერასის თავზე მსუბუქი კონსტრუქციით გადახურვა. +11.10 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში აივანზე დამატებით მოწყობილია გამათბობლის ქვაბი. +14.40 ნიშნულზე „ბ-გ“ მონაკვეთში გაუქმებულია ფანჯარა და კედელი, რითაც საცხოვრებელი ფართის ხაჯზე შექმნილია აივანი 4 მ^2 ფართის, ასევე 14.40 ნიშნულზე, „ბ-ბ“ ღერძთან გაუქმებულია კარი. -9.00 ნიშნულზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. ფასადზე არ არის შესრულებული კერამიკული ფილებით მოპირკეთება.

„1-6“ ფასადზე: +34.20 ნიშნულზე, „1-2“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე 0.2 მ-ით. +30.90 და +34.20 ნიშნულებზე „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილები. ±0.00 ნიშნულზე, „ა-ა“ ღერძზე შეცვლილია კედლის სიმაღლეები და არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირი. +37.50 ნიშნულზე, ღიობები შეუვსებელია. +21.00 ნიშნულზე, „3-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია გამწოვი მილი. „3-4“ მონაკვეთში არ არის მოწყობილი წყალშემკრები მილები. „6-6“ ღერძის გარეთ საყრდენ კედელზე არ არის მოწყობილი ლითონის მოაჯირები. +37.50 ნიშნულზე „5-6“ მონაკვეთში ტერასის თავზე არ არის მოწყობილი საჩრდილობელი.

-9.00 ნიშნულზე, „ბ-ბ“ ღერძზე „6-6“ ღერძის გარეთ მონოლითურ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია კოლონების პირზე, ასევე შეცვლილია კოლონის მდებარეობა.

-6.00 ნიშნულზე, „ბ-ბ“ ღერძზე „6-6“ ღერძის გარეთ მონოლითურ კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, ასევე „6-6“ ღერძის გარეთ შეცვლილია კედლის ფორმა და კოლონის მდებარეობა.

±0.00 ნიშნულზე, „3-4“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის შემცირებულია კიბის სიგანე 2.2 მ-ით. +34.20 ნიშნულზე, „2-3“ მონაკვეთში „დ-გ“ და „ბ-ა“ ღერძებს შორის გაუქმებულია ორი კიბე, ხოლო „გ-დ“ მონაკვეთში „6-6“ ღერძის გარეთ კიბისთვის განკუთვნილ ღიობს მონაცვლებული აქვს ადგილი და არ არის მოწყობილი კიბე.

მანსარდის სართულზე: „დ-დ“ ღერძზე „2-1“ მონაკვეთში კოლონას მონაცვლებული აქვს ადგილი. „1-1“ ღერძზე გაუქმებულია კოლონები. „2-3“ მონაკვეთში სართულშორის გადახურვის ფილაში გაუქმებულია კიბის უჯრედებისთვის განკუთვნილი ღიობები. „5-5“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ორი კოლონა. „3-3“ და „4-4“ ღერძებზე დამატებით მოწყობილია ორი კოლონა. „3-4“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძზე დამატებით მოწყობილია ორი კოლონა. „4-5“ მონაკვეთში ფანჯრის ღიობის გვერდზე დამატებით მოწყობილია კოლონა. კოლონების რაოდენობა და განლაგების სქემა არ შეესაბამება საპროექტოს.

„4-3“ მონაკვეთში „დ-გ“ ღერძებს შორის შენობაში შეცვლილია კიბის საფეხურების რაოდენობა. „3-3“ და „4-4“ ღერძების და „გ-გ“ ღერძის კვეთაზე გაზრდილია კოლონების გაბარიტები. შენობაში „1-2“ მონაკვეთში „ბ-ა“ ღერძებს შორის გაზრდილია აივნების სიგრძე 0.2 მ-ით. შეცვლილია სახურავის კონფიგურაცია. „6-6“ ღერძის გარეთ არ არის დასრულებული პანდუსის და პანდუსის გვერდზე კედლების მოწყობა. +37.50 ნიშნულზე, „1-2“ მონაკვეთში კედლის მონაცვლებით შემცირებულია აივნის ფართი დაახლოებით 8 მ²-ით. +37.50 ნიშნულზე პროექტში არ არის ნაჩვენები სამანქანოს ფილის დონე.

ფასადები ნაწილობრივ შესალესია და შესაღებია. არ არის დასრულებული პანდუსების მოწყობა. ფასადზე არ არის მოწყობილი კარნიზები. სახურავზე შეცვლილია სავენტილაციო შახტების გაბარიტები. ტერიტორიაზე არ არის მოხსნილი დროებითი სამშენებლო ღობე. ფასადებზე არ არის მოწყობილი ზოგიერთი წყალშემკრები მილი.ფასადებზე ზოგიერთი ფანჯრის, ვიტრაჟის და ფრამუგის ღიობები შესავსებია და შესამინია.

„ა-ა“ ღერძზე „6-6“ ღერძის გარეთ მოწყობილი მონოლითური საყრდენი კედელი გაცდენილია საკადასტრო საზღვრებს.

შეამოწმა: _____ ი. ჩიტაძე



ფანასკერტელი 2005	14.01.2014
მისამართი: ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ	მასშტაბი: 1:300